

## ვაროსტოპი (Varostop)

**წამლის ფორმა:** გარეგანი მოხმარების ხის ზოლისებური ფირფიტა, გამოიყენება მეფუტკრეობაში.

### შემადგენლობა

პრეპერატი წარმოადგენს ღია ყვითელი-კრემისფერი შეფერილობის ხის ზოლისებურ ფირფიტას, სუნის გარეშე.

თითოეული ფირფიტა გაჟღენთილია და შეიცავს: ფლუმეტრინს 10%-იანი - 3,6 მგ.

გამოშვების ფორმა: ათი ხის ზოლისებური ფირფიტის პირველადი შეფუთვა მოთავსებულია მუყაოს კოლოფში. თითოეული ფირფიტა შეფუთულია პოლიეთილენის ფოლგაში. თითოეული ინდივიდუალური შეფუთვა თავის მხრივ შეფუთულია ორმაგ ალუმინის ფოლგაში.



**ფარმაკოთერაპიული საშუალება:**  
აკარიციდული საშუალება.

### ფარმაკოლოგიური თვისებები

ფლუმეტრინი - არის სინთეზური პირეტროიდი (ფლურემეტრინი), ხასიათდება ინსექტოციდური და აკარიციდული მოქმედებით, იგი მოქმედებს ტკიპა Varroa Destructor -ის ნერვულ სისტემაზე და მნიშვნელოვნად ამცირებს მათ პოპულაციას. პრეპარატი მოქმედებს უშუალოდ ტკიპის ნერვული სისტემის აღმგზნები უჯრედების მემბრანაზე. იწვევს იონებში ცვლილებებს და განმეორებადი აქტივობით ახდენს ტკიპის პარალიზებას. ზონარებზე ან მათ მიღმა ფუტკრების გადაადგილებისას ფლუმეტრინი ეკრობა მათ სხეულებს. სოციალური კონტაქტისას გადააქვთ სხვა ფუტკრებთან. ამ გზით ფლუმეტრინი მექანიკურად გადანაწილდება ფუტკრის ოჯახის ინდივიდებზე და ახდენს აკარიციდულ მოქმედებას ტკიპა Varroa Destructor -ზე. ვაროსტოპს არა აქვს უარყოფითი ზეგავლენა ფუტკრის ოჯახების განვითარებაზე, დედა ფუტკრის კვერცხმდებლობის უნარსა და ფუტკრის ბარტყზე.

გამოთავისუფლების პერიოდი: არ არის არსებითი, ვინაიდან პრეპარატი ვაროსტოპი არ გამოიყენება თაფლის აღების (ღალიანობის) პერიოდში.

### **გამოყენების წესი და დოზები**

პრეპარატი ვაროსტოპი გამოიყენება ფუტკრის ოჯახებში ვაროატოზის დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის.

### **ვაროსტოპი გამოიყენება:**

ვაროსტოპის ფირფიტები გამოიყენება ფუტკრის სკებში.

- ადრეულ გაზაფხულზე, როდესაც ფუტკრების ოჯახებში არ არის დიდი ფართობი დაკავებული ფუტკრის ბარტყით.

- ზაფხულში ივლისის ბოლოს - აგვისტოს დასაწყისში, როდესაც შეზღუდულია დედა ფუტკრების კვერცხმდებლობა და ბარტყებიანი ფართობი მცირეა, ხოლო დანარჩენი ფართობი სავსეა თაფლით და მდედრი ტკიპების უმეტესი ნაწილი ფუტკრებზე იმყოფება.

- შემოდგომაზე - სექტემბერ-ოქტომბერში, როდესაც ფუტკრის ბარტყიანი ფართობი პროგრესულად მცირდება. ვაროსტოპი გამოიყენება უშუალოდ თაფლის ცენტრიფუგაციის შემდეგ.

შეფუთვას ხსნიან უშუალოდ გამოყენების წინ. ფირფიტას ათავსებენ ჩარჩოებს შორის კორპუსის ცენტრში; თითო ფირფიტას ორი ჩარჩოს გამოტოვებით და დატოვებენ 35 დღით, არა უმეტეს 6 კვირისა.

დოზირება დამოკიდებულია ფუტკრების ოჯახის სიძლიერესა და დაავადების სიმწვავეზე:

პროფილაქტიკისათვის გამოიყენება - 1-2 ფირფიტა.

მკურნალობისათვის - სუსტი ოჯახები - 1-2 ფირფიტა; ნორმალურად განვითარებული და ძლიერი ოჯახები - 2-4 ფირფიტა. ვაროატოზის დიაგნოსტიკისათვის სკის ფსკერზე ათავსებენ თეთრი ფერის ქაღალდს 24 სთ-ით.

**გვერდითი მოვლენები:** არ აღინიშნება.

### **უკუჩვენება**

არ გამოიყენება თაფლის შეგროვების (ღალიანობის) პერიოდში.

### **პირადი პროფილაქტიკის ზომები:**

პრეპარატით მუშაობისას აუცილებელია პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხოების ზოგადი წესების დაცვა, რომელიც მიღებულია ცხოველთა სამკურნალო საშუალებების გამოყენებისას.

### **შენახვის პირობები**

ვაროსტოპი ინახება 15-30°C ტემპერატურაზე ორიგინალურ შეფუთვაში 40-60°C ჰაერის ტენიანობის პირობებში, მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედებისაგან დაცვით.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი შენახვის პირობების დაცვით.

**მწარმოებელი ქვეყანა:** პრიმავეტ- სოფია, ბულგარეთი.